

# რა არის რეგულაციური პაკეტი და რას ითვალისწინებს იგი?

გაზეთი “ალია” – 1-2 ივლისი, 2008

*“ალიას” ესაუბრება ეკონომიკის ექსპერტი ლადო პაპავა*

ეროვნული ბანკის პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელმა დაგით ამადლობელმა მიხეილ მაჭავარიანის მწვავე კრიტიკა დაიმსახურა.

მაჭავარიანის განცხადებით, ამადლობელმა კომენტარებში თანამშრომლების განთავისუფლების საფუძველად პარლამენტის მიერ მიღებული ე.წ. “რეგულაციური პაკეტი” დაასახელა.

“ან იმ განთავისუფლებული ხალხის შეეშინდა და თავი იმართლა, ან აზრს ვერ გამოთქვამს”, – განაცხადა ამადლობელის მისამართით მაჭავარიანმა და პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელს მეტი კომპეტენციის აღება და აზრის გამოთქმისას აზრების დალაგება ურჩია.

იმ შემთხვევაში კი, თუ ამადლობელს მეტი პოლიტიკური უნარი არ აღმოაჩნდება, მის საკითხს პარლამენტი ეროვნული ბანკის ანგარიშის წარმოდგენისას განიხილავს.

რაც შეეხება “რეგულაციურ პაკეტს”, მაჭავარიანის თქმით, ეროვნული ბანკის პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელს უნდა ესმოდეს, რომ კანონი თანამშრომელთა შემცირების საფუძველი ვერ გახდება, ამ კანონით კი, რომელიც პარლამენტმა მნიშვნელოვნად შეასწორა, ეროვნულ ბანკში ორი ახალი სამსახური შეიქმნა და მისი ბევრი ფუნქცია შენარჩუნდა.

რა არის ეს “რეგულაციური პაკეტი” და რას ითვალისწინებს იგი?

– როდესაც ეს “რეგულაციური კანონპროექტი” მომზადდა და პარლამენტში შემოიტანეს ზამთარში, იქ ერთ-ერთი წამყვანი ადგილი ეჭირა ცვლილებებს კანონში “ეროვნული ბანკის შესახებ” და სწორედ ეს ცვლილებები იქნა მაშინ მიღებული. მაშინ არაერთი შესაძლებლობა გამოვიყენე პარლამენტის ტრიბუნიდან, რათა ამეხსნა, რომ ამის გაკეთება არ შეიძლებოდა, რომ ეს ასუსტებდა ეროვნულ ბანკს, მაგრამ ეს კანონი მაინც მიიღეს. შემდეგ ვინც არ უნდა ყოფილიყო ეროვნული ბანკის ხელმძღვანელი, მას უნდა დაეწყო ამ მოთხოვნების შესრულება.

– ანუ, თანამშრომლების შემცირება, მათ შორის?

– თანამშრომლების შემცირება ერთ-ერთი კომპონენტია იმისა, თუ როგორ უნდა გარდაქმნილიყო ეროვნული ბანკი. დაეუშვათ, შეიძლებოდა ისეთი ცვლილებების გატარება, რომ შემცირება არ ყოფილიყო ასეთი მასშტაბიანი და ყოფილიყო უფრო მცირე ზომის, მაგრამ, როცა კანონი შეიცვალა, ბუნებრივია, ეროვნული ბანკის ხელმძღვანელობას სჭირდებოდა, ამ კანონის შესაბამისად მოეხდინა ცვლილება ეროვნული ბანკის სტრუქტურაში. სჯობდა საერთოდ ეს ცვლილებები არ მიეღო პარლამენტს და მაშინ არც ეს პრობლემა შეიქმნებოდა. თავისთავად ცუდი ის კი არ არის, რაც დღეს ეროვნული ბანკის ხელმძღვანელობამ გააკეთა, ეს არის შედეგი იმისა, რა ცუდიც გააკეთა მთავრობამ და რასაც მხარი დაუჭირა პარლამენტმა მარტ-აპრილში. მე კომენტარს ვერ გავაკეთებ ამადლობელი-მაჭავარიანის კამათზე, ეს ჩემთვის ცოტა გაუგებარია, იმიტომ, რომ მიხეილ მაჭავარიანს ძალიან დიდ პატივს ვცემ, მაგრამ მახსოვს, როცა ეროვნული ბანკის ნგრევის შესახებ მთავრობის კანონპროექტი განიხილებოდა, მას ხმა არ ამოუღია ეროვნული ბანკის დასაცავად. ამადლობელი კი, ნუ დაგვავიწყდება, არ არის ეროვნული ბანკის პრეზიდენტი, ის არის მხოლოდ და მხოლოდ მოვალეობის შემსრულებელი და მას დაატყდა კისერზე მთელი ამ პერიპეტეიების გადატანა. ახლა ამადლობელმა ეს ყველაფერი ზუსტად ამ კანონის შესატყვისად გააკეთა. თუ ჰქონდა შეცდომები და ზედმეტად იაქტიურა ხალხის გაყრაში, ეს პარლამენტმა უნდა შეისწავლოს, მაგრამ პარლამენტს სჯობდა ამაზე თავის დროზე ეფიქრა.

**ნინო რეხვიაშვილი**